

## სტუდენტის დატვირთვა

1. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის და მაგისტრანტისთვის (შემდგომში - სტუდენტი) საჭირო სასწავლო დატვირთვას (დროს, რომელიც საჭიროა დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად). სტუდენტის სასწავლო დატვირთვა მოიცავს პროგრამის კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს: საკონტაქტო საათი არის პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო, დამოუკიდებელი საათი არის პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო. დამატებითი გამოცდისთვის/დაცვისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) და კონსულტაციებისთვის განსაზღვრული დრო არ წარმოადგენს პროგრამის კომპონენტის კრედიტის შემადგენელ ნაწილს. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემთხვევაში, რაც გამოიხატება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. ბნსუ-ში:

- 1 კრედიტი = 26 საათს (მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს);
  - 1 აკადემიური საათი უდრის 1 ასტრონომიულ საათს. სასწავლო კურსების შემთხვევაში ერთ აკადემიურ საათში მოიაზრება: 50 წუთი სააუდიტორიო დრო + 10 წუთი შესვენება;
  - 1 აკადემიური წელი მოიცავს 2 სემესტრს - შემოდგომის სემესტრი (20 კვირა) და გაზაფხულის სემესტრი (22 კვირა) - და არ დადებებს მათ შორის;
  - სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების/დაცვების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე/დაცვებზე სტუდენტის შეფასების პერიოდის ჩათვლით;
  - სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას. სტუდენტების საკონტაქტო საათებში გათვალისწინებული საქმიანობა (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა და სხვ.) და პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში გათვალისწინებული კონსულტაციები ტარდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის და სილაბუსების საფუძველზე ერთი სემესტრისათვის შედგენილი მეცადინეობის, გამოცდების და კონსულტაციების ცხრილების მიხედვით;
  - 1 აკადემიური წელი მოიცავს 60 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან აღმატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა. ამ პირობის დაცვით სემესტრში გათვალისწინებულზე მეტი (დამატებითი) კრედიტის მიღება შესაძლებელია როგორც სემესტრის განმავლობაში პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამის კომპონენტების შესწავლის პარალელურად, ასევე სემესტრის დასრულებამდე დარჩენილ ვადაში (დასკვნითი გამოცდების/დაცვების დასრულების შემდგომ პერიოდში) ინტენსიური სწავლებით ისე, რომ ამ ვადაში იყოს შესაძლებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დამატებითი გამოცდების ჩატარება და სტუდენტის შეფასება. გადაწყვეტილება ინტენსიური სწავლების განხორციელების შესახებ მიიღება სემესტრის დასკვნითი გამოცდების/დაცვების პერიოდის დასრულებამდე. ბნსუ უფლებამოსილია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-სწავლის პროცესი განახორციელოს არასრული დატვირთვით: ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს, ხოლო სტუდენტის სასწავლო დატვირთვა კვირაში - დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.
2. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტებს (სასწავლო კურსები, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი), სამაგისტრო პროგრამა - სასწავლო (სასწავლო კურსები, პრაქტიკა) და სამეცნიერო-კვლევით (ბნსუ-ში -სამაგისტრო ნაშრომი) კომპონენტებს. პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტი ერთსემესტრიანია - ხორციელდება და ფასდება ერთსა და იმავე სემესტრში. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი შეფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას;
3. სემესტრის განმავლობაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმისა და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების საფუძველზე ერთი სემესტრისათვის შედგენილი მეცადინეობის და გამოცდების ცხრილების მიხედვით.